სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

№ 390-03/21 „ 08 „ ივნისი 2021 წ.

რწმუნებულება

შპს "სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი"-ს *(ს/კ:204426834 იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ.. თბილისი, კ. ქუთათელაძის ქ. #3)* ხელმძღვანელობით/წარმომადგენლობით უფლებამოსილმა პირმა, დირექტორმა **ვაჟა ვარდიძემ** *(მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, ჩიქოვანის №38, ბინა №88, პირადი #47001004873)*, შემდგომში მარწმუნებელი, **ნესტორ ბოკუჩავას** *(დაბადებული 1987 წლის 09 იანვარს, პ/ნ 62004022648 პ/მ 15IB60463, გაცემის თარიღი 2016 წლის 03 ივნისს, თბილისის იუსტიციის სამინისტროს მიერ)*, შემდგომში რწმუნებული პირი, წინამდებარე რწმუნებულებით, ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:

1. რწმუნებული მარწმუნებელს წარმოადგენს ქალაქ თბილისის მერიაში, მერიის ნებისმიერ სამსახურში და დაქვემდებარებაში არსებულ სტრუქტურულ ერთეულში, მათ შორის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, შპს "სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი"-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: თბილისი, კ. ქუთათელაძის ქ. #3, ს/კ: 01.14.03.041.026 პროექტის შეთანხმებისას, მისი კორექტირებისას, მშენებლობის ნებართვის გაცემისას, შესაბამის დოკუმენტაციაზე ხელმოწერისას, ასევე ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობაში და აწარმოებს შესაბამის საქმეს.

2. აღნიშნული რწმუნებულების განსახორციელებლად, რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საჭირო პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის მარწმუნებლის სახელით შეიტანოს

განცხადება, შეავსოს ხარვეზი, გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი, მოსაკრებელი და სხვა სახის გადასახადი.

3. რწმუნებული ვალდებულია რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელოს კეთილსინდისიერად და გულისხმიერად, მარწმუნებელს მიაწოდოს ცნობები დავალების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, შესრულების შემდეგ კი ჩააბაროს ანგარიში.

4. მინდობილობა ძალაშია 2021 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

დირექტორი, პროფესორი ვაჟა ვარდიძე

თბილისი

2 ივლისი 2021 წ.

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტსა (ს/კ: 204426834; იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, კალისტრატე ქუთათელაძის ქ. #3) და შპს ტრიადა-ს (ს/კ: 205254909; საქართველო, ქ. თბილისის, საბურთალოს რაიონში, შარტავას ქ 42, ბ.3) შორის დადებული ხელშეკრულების (2016 წლის 10 მაისი; #17/1) საფუძველზე შექმნილი, უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე თბილისში, კ. ქუთათელაძის ქ. #3. ს/კ: 01.14.03.041.026, სამშენებლო პროექტის თანაავტორები თამაზ ზანდარაშვილი (პ/ნ: 01030004510) და თამარ სხილაძე (პ/ნ: 01007008230) გამოთქვამენ თანხმობას მათ მიერ შემუშავებული პროექტზე (თბილისის არქიტექტურის სამსახურის რეესტრში რეგისტრირებული დოკუმენტის ნომერი #AR1400448) საავტორო უფლებები გადასცეს შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტს, რათა მან მისი წარმომადგენლისა და/ან მინდობილი პირის მეშვეობით განახორციელონ პროექტთან დაკავშირებული ყველა კანონმდებლობით დაშვებული პროცედურა, მათ შორის და არა ამომწურავად არქიტექტურის სამსახურთან მოახდინოს პროექტის შეთანხმება, მისი კორექტირება, მშენებლობის ნებართვის გაცემისას შესაბამისი მოქმედებების განხორციელება.

პროექტის თანაავტორები:

თამაზ ზანდარაშვილი _____

თამარ სხილაძე _____



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N210684691
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	02.07.2021 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ეკატერინე მარშანია
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 47
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	5(74) 44 45 49; ელ.ფოსტა: emarshania@notary.ge
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	12353168570921

საქართველო

ორიათას ოცდაერთი წლის ორ ივლისს მე, ნოტარიუსს ეკატერინე მარშანიას, სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 47-ში, მომმართეს: თამაზ ზანდარაშვილმა და თამარ სხილაძემ, რომლებმაც წარმოადგინეს თანხმობა და მოითხოვეს მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად თამაზ ზანდარაშვილმა (დაბადებული 03.03.1957წ. თბილისში, პირადი №01030004510, პ/მ 13IH07112, რეგისტრირებული: თბილისი მანანა ლოლაძის I ჩიხი N 6) და თამარ სხილაძემ (დაბადებული 06.05.1965წ. თბილისში, პ/ნ 01007008230, პ/მ 13IH07383, მისამართი:თბილისი, ზღვისუბნის დასახლება, XI მიკრო/რაიონი, I კვარტალი, კორპუსი 4, ბინა 19) მომმართეს. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი მათი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. შემდეგ მათ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი აღნიშნულ დოკუმენტს. ხელმომწერ პირებს განვუმარტე, რომ მე ვადასტურებ აღნიშნულ დოკუმენტზე მათი ხელმოწერის სინამდვილეს და პასუხს არ ვაგებ დოკუმენტის შინაარსზე და სამართლებრივ შედეგზე. გადახდილია სანოტარო საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს მიღებული #507-ე დადგენილების 31.3-ე მუხლის ოთხი ეგზემპლარისთვის 16.00 ლარი + საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად დღგ: 2.88 ლარი და 39.1. მუხლის თანახმად ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის 2.00 ლარი.

ნოტარიუსი ეკატერინე მარშანია

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18